

უოლტერ ვიკსი  
**ლუდის გოგონა**  
ინგლისურიდან თარგმნა სალომე ბუბუტეიშვილმა

პერსონაჟები

ბობი

ფლო

ლუდის გოგონა

გაფრთხილებთ: პიესა დაცულია საავტორო უფლებებით. საავტორო უფლებებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა მიმართოთ ავტორს:

sandmaster@aol.com

[სასტუმროს ოთახი. **ბობი** საწოლზე ზის. **ლუდის გოგონა**, რომელიც მთლიანად ლუდის ქილებისგანაა შექმნილი გვერდით უზის. არ მოძრაობს, წუთის შემდეგ ბობის მის ხელს იღებს]

**ბობი** მე შენ მიყვარხარ.

[**პაუზა**]

იმედი მაქვს, ეს უცნაური არ არის.

[**პაუზა**]

ანუ, იმედი მაქვს თავს უხერხულად არ გრძნობ.

[**პაუზა**]

მესმის, რომ ჩემი შექმნილი ხარ, სულ რამდენიმე დღეა რაც გამიცანი და ასე შემდეგ, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ. მიყვარხარ, მიყვარხარ ჯერ კიდევ იმ წამიდან როცა ფორმის მიღება დაიწყო. ლუდის იმ პირველი ქილიდან მოყოლებული... ყოველთვის ვიცოდი, ჩვენ შორის რაღაც განსაკუთრებული იყო. შენ სხვებს არ ჰგავხარ. განსხვავებული ხარ. ჩემი მეორე ნაწილი ხარ. შენს გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. შენ მე .... *მავსებ*.

[**პაუზა**]

არაფრის თქმა არ არის საჭირო.

[**პაუზა**]

ანუ, არაფერია თუ შენც იგივეს არ გრძნობ ჩემს მიმართ. გასაგებია. მე ერთი საცოდავი ხელმოცარული ბიჭი ვარ. შენ კი... ყოველმხრივ სრულყოფილი. თითქმის ანგელოზი. სილამაზის, სინათლისა და სიკეთის მითოლოგიურ არსებას ჰგავხარ. გაბრუებული ვარ შენი კეთილშობილებით. ასეთი რამ არასოდეს მქონია. რაღაც ჭეშმარიტი გრძნობაა. აქამდე, ვცდილობდი რომ ყველანი სწრაფად მომეშორებინა, ხომ ხვდები... არავისთან მქონია რეალური კავშირი, არანაირი სიყვარული, მაგრამ შენთან...

[**პაუზა**]

არ მინდა მოვლენები დავაჩქარო. არ მინდა, ყველაფერი გავაფუჭო. მაგრამ... შენი კოცნა რომ ვცადო... როგორ ფიქრობ...

[**კარზე აკაკუნებენ**]

ო, ღმერთო.

[**ბობი ჭუჭრუტანაში იხედება**]

ჯანდაბა! ფლო!

[**უფრო ხმამაღლა აკაკუნებენ**]

ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა!

[**ლუდის გოგონას საბანს გადააფარებს**]

ჩუმად იყავი!

**ფლო**

[**ხმა გარედან**] გააღე, ბობ! ვიცი რომ მანდ ხარ!

**ბობი** წადი აქედან!

**ფლო** უნდა ვილაპარაკოთ!

**ბობი** არა, არანაირი ლაპარაკი! მეზიზღება ეს „უნდა ვილაპარაკოთ“!

**ფლო** უბრალოდ კარი გააღე!

**ბობი** არა!

**ფლო** რატომ? არის კიდევ მანდ ვინმე? ბოზი გყავს არა?!

**ბობი** არა

**ფლო** ღმერთო ჩემო! ვიღაც გყავს! სახეს აგახე ბობ, შე ლოთო, გესმის ჩემი?! გააღე კარი! ახლავე!

[**ბობი კარებს აღებს**]

**ბობი** ფლო აქ არავინაა. დაწყნარდი.

[ფლო ოთახში შევარდება]

ფლო სად არის? სად ხარ შე კახპავ! აჰააააა!

[ფლო, ლუდის გოგონას საბანს გადახდის]

ღმერთო. ჩემო!

[პაუზა]

ბობი ცოტა უცნაურია.

ფლო ეს რა ჯანდაბაა?

ბობი ლუდის გოგოა. მე გავაკეთე.

ფლო შენ გააკეთე?

ბობი აჰააა

ფლო რატომ?

ბობი რატოლომ?

ფლო ჰო, რატომ? რატომ გააკეთე?

ბობი რატომ შექმნა მიქელანჯელომ დავითი? ან კიდევ და ვინჩიმ – მონალიზა?

ფლო შენ ხომ ლუდის ქილუბისაგან გააკეთე?!

ბობი ვიცი. მშვენიერია არა?!

ფლო რა საცოდაობაა! ჩემთან დაწოლა არ შეგეძლო და ხელოვნური გოგო გააკეთე!

ბობი რაა? არა! ამას შენთან საერთო არაფერი აქვს!

ფლო ოო კარგი რა. ეს ხომ აშკარაა.

ბობი შენთან დაწოლას ყოველთვის შევძლებ, როცა მომინდება.

ფლო იოცნებე!

ბობი აბა, აქ რისთვის ხარ, ჩემი დაბრუნება თუ არ გინდა?!

ფლო კარგი რა, სასაცილოა ბობ!

ბობი სულაც არ არის სასაცილო!

ფლო სახლში წამოდი, გამოფხიზლდები. ბლინებს გაგიკეთებ.

ბობი ვერ წავალ სახლში!

ფლო რატომ?

ბობი ის სახლი არ არის. არ მიყვარხარ.

ფლო ეგ გიყვარს?

ბობი კიიი! მართალი ხარ.

ფლო შენ რა ეს პატარა ლუდის ქანდაკება გიყვარს?

ბობი ეს ლუდის ქანდაკებაზე მეტია. ჩვენ სულიერი მეგობრები ვართ.

ფლო სულიერი მეგობრები?

ბობი აჰაააა

ფლო საკუთარ თავს მოუსმინე, ბობ!

ბობი მესმის, რომ ცოტათი გიჟურად ჟღერს, მაგრამ ვლოცულობდი...

ფლო ლოცულობდი?

ბობი დავიჩოქე და... მოკლედ, როგორც არის.

ფლო აქამდე არ ლოცულობდი

ბობი ამ დილით დავიწყე.

ფლო შენ ხომ ღმერთი არ გწამს.

ბობი ლუდის გოგონამ ამიხილა თვალი სამყაროს სასწაულზე.

ფლო კარგი. მითხარი რა მოწიე?

ბობი არაფერი. საერთოდ არაფერი მომიწევია.

ფლო კაი, მომისმინე, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, კარგი? დამიმტკიცე რომ სერიოზულად ამბობ მაგას ამ ლუდის გოგოზე, და თავს დაგანებებ. შეგიძლიათ განაგრძოთ თავფლობის თვე. მე გავექრები.

ბობი ვა, ალქაჯივით ცოცხს გადააჯდები და ისე?!

ფლო ცოცხს გადავაჯდები და ისე!

ბობი შევთანხმდით. როგორ დავიმტკიცო?

ფლო მმ. მიდი.

ბობი ააააა?

ფლო შენ ყოველთვის ამბობდი რომ სექსს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ნებისმიერ ურთიერთობაში და ჩემთან ყოველ ღამე ამით ერთობოდი.

ბობი რა თქმა უნდა.

**ფლო** ანუ, თუ ეგ შენი სულიერი მეგობარია, უნდა გაჟიმო კიდეც არა? სულიერი მეგობრებიც ხომ ჟიმაობენ?

**ბობი** ანუ.. შენ გინდა რომ.... მე..

**ფლო** ჰო მიდი... გაჟიმე გიგანტური ალუმინის თოჯინა.

**[პაუზა]**

**ბობი** ახლავე?

**ფლო** აჰაააა

**ბობი** არა მგონია მაგაზე დათანხმდეს... შენი თანდასწრებით.

**ფლო** რატომაც არა? მორცხვია?

**ბობი** მინდა პირველი დამე განსაკუთრებული იყოს.

**ფლო** ოოო კარგი რა ბობ. ნუ იქნები ასეთი სენტემენტალური. ჩვენი პირველი დამე მამაჩემის პიკაპის უკანა სავარძელზე გავატარეთ, სასტუმროს ფული არ გქონდა.

**ბობი** ის სულ სხვა იყო

**ფლო** რატო ვითომ?

**ბობი** შენ ჩემი სულიერი მეგობარი არ ყოფილხარ. უბრალოდ ორივე მთვრალე ვიყავით.

**ფლო** ლუდის გოგო არ სვამს?

**ბობი** არა, ის მაგ ტიპის გოგო არ არის.

**ფლო** თავს აღარ დაანებებ? ხომ იცი რასაც ამბობენ მათზე ვინც მარტო სვამს?

**ბობი** ლუდის გოგონასათვის ყველაფერს გავაკეთებდი.

**ფლო** მაგასაც?

**ბობი** დიახ მაგასაც

**ფლო** ოჰოოო, მაშინ წასვლის ნება უნდა მოგცე. ასე თუა გამოდის რომ მე მხოლოდ გაკავებ. ნუთუ აღარასოდეს დალევ და სამსახურსაც იშოვი...

**ბობი** ჰუუუუუუ. სამსახური ვახსენე საერთოდ?!

**ფლო** როგორ ფიქრობ, სახლში ყოფნა და შვილების მოვლე ენდომება?!

**ბობი** შვილების?

**ფლო** შვილების ყოლას არ აპირებ, შენს სულიერ მეგობართან?

**ბობი** მეე.. არ ვიცი. ამაზე ჯერ არ გვისაუბრია.

**ფლო** იქნებ ჰკითხო?

**ბობი** **[ლუდის გოგონას]**

ბავშვები გინდა?

**[პაუზა]**

**ფლო** არ გაპასუხოხს. არა?

**ბობი** არა.

**ფლო** მეც ასე ვფიქრობდი, უბრალოდ მინდოდა დავრწმუნებულიყავი.

**ბობი** **[ლუდის გოგონას]**

გინდა ბავშვები?

**[პასუხი არ ისმის]**

გინდა?

**[პასუხი არ ისმის]**

**ფლო** ხშირად გაპასუხოხს?

**ბობი** არა, ჯერ არა, მაგრამ სწორედ ამისთვის ვლოცულობდი. ზუსტად აი ამისთვის. რომ ვაკოცო იქნებ...

**ფლო** დიახ რა თქმა უნდა, თუ აკოცებ იქნებ უბრალოდ...

**[ბობი კოცნის ლუდის გოგონას. ისიც მაშინვე ცოცხლდება]**

**ფლო** ღმერთო ჩემო

**ბობი** გამოვიდა!

**ფლო** ეს რა ჯანდაბაა!

**ბობი** ჩემმა სიყვარულმა მას სიცოცხლე მოუტანა! ეს სასწაულია!

**ფლო** შეუძლებელია!

**[ბობი ეხუტება ლუდის გოგონას]**

**ბობი** გინდა? გინდა შვილები?

**[ლუდის გოგონა თავს უქნევს]**

მეეეე! ძალიან ბედნიერი ვარ!

**ფლო** აქედან მოშორდი შე ალუმინის ბოზო! ის ჩემია!

**ბობი** უკან დაიხიე ფლო!



**[ბობი იღებს]** გამხსენი.

**ბობი** გეტკინება?

**ლუდის გოგონა** არა. სრულებითაც არ მეტკინება.

**[დაჟინებით აშტერდება თვალებში ლუდის გოგონას]**

**ბობი** მიყვარხარ, ლუდის გოგონავ.

**[ბობის ხსნის და სვამს]**

**ლუდის გოგონა** მეც, მიყვარხარ.

**ფლო** შეიძლება მეც დავლიო?

**ლუდის გოგონა** რა თქმა უნდა.

**ფლო** იცი რა? ეს მართლაც ლამაზი ჟესტია. ვფიქრობ რომ კიდევ უნდა მივცეთ შანსი, ბობ, ანუ იქნებ უფრო დავემსგავსო მას.

**ბობი** ლუდის გოგონას?

**ფლო** ჰო. რატომაც არა?

**ბობი [სადღეგრძელოს ამბობს]**

ლუდის გოგონას გაუმარჯოს.

**ყველანი ერთად [სადღეგრძელოს ამბობენ]**

ლუდის გოგონას გაუმარჯოს!